№ 128

ხუთშაბათი, 18 ივნისი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

№ 128

ხუთშაბათი, 18 ივნისი, 1898 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

დაიბეჭდა და გადაეცა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას გასასყიდად ახალი წიგნი:

## თ. ილია ჭავჭავაძე

ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი.

წერილი პირველი

**მ ე გ ა ხ ლ ა ვ ა რ**-ისა.

ფასი 20 კაპ. ვინც 10 ცალზედ მეტს დაიბარებს ხსენებულ მაღაზიიდგან, მას 20% დაეთმობა. წიგნი იყიდება აგრეთვე ბ-ნ იმედაშვილის წიგნის მაღაზიაში, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (10—უ.—3)

## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეჩვიდმეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1898—9 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3), ბუხჰალტერია (მარტივი, ორ-კეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და მთის ქუჩაზედ, ბოტანიკის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—3)

## «ივერიის» რედაქციისაგან.

ვისაც სურს, რომ პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(უკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. ა. ი. რუდენკო. 10½—11½ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11½—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. 1½—2½ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ზ. ა. ნავასარდიანი—6½—7 საათ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову

(წ)

## ვკისრულობ

**ტაქსაციას** და დაფასებას ტყეებისა, დაფასებას სოფლის მამულის წარმოებისა,

**პლანების აღებას და ნიველირებას.**

**ალექსანდრე გრიგოლის ძე სნეჟკოვი.** ლაბორატორიის ქუჩა, სახლი № 26.

**ტელეფონი** № 567.

(50—80—36).

## მთავრობის განკარგულებანი

—

ებოძათ სამსახურის წელთა შესრულებისა გამო ტიტულიარნი სოვეტნიკობა: კავკასიის ოლქის გზა-ტკეცილთა დისტანციის უფროსს, გზათა უწყების ინჟენერს ქორქაშვილს; ყუბანის ჯარის კაცთა თავ-შესაფარის სამზრუნველოს საპატიო წევრს ხუციშვილს

## ახალი ამბავი

—

*** 15 ივნისს „წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების“ გამგეობამ შემდეგი ცვლილება მოახდინა საზოგადოების სკოლებში მოსამსახურეთა შორის: სენაკის სათავად-აზნაურო სკოლის სამი მასწავლებელი: ივ. გოგოლაშვილი, იასონ ნიკოლაიშვილი და ლავრენტი ეგლაძე გადაყვანილ იქმნენ—პირველი ბათუმის სკოლის მასწავლებლად პ. წულუკიძის ნაცვლად, რომელიც გადაყვანილ იქმნა, სამაგიეროდ, სენაკის სკოლაში; მეორე—ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის აღმზრდელად, დ. ლორთქიფანიძის ნაცვლად, რომელიც გადაყვანილ იქმნა სამაგიეროდ სენაკის სკოლაში, და მესამე—თონეთის სკოლის მასწავლებლად, კნ. თ. ჯორჯაძის ნაცვლად, რომელმაც თავი დაანება სამსახურს. კავკავის სკოლის მასწავლებელი ლ. ბიცაძე გადაყვანილ იქმნა სენაკის სკოლის მასწავლებლად. ხოლო მისი ადგილი კავკავის სკოლაში თავისუფალია. ვისაც ჰსურს კავკავის სკოლის მასწავლებლობა, უნდა მიჰმართოს გამგეობას თხოვნით. ჯამაგირი იქნება 45 მ. სახლი და შეშა, აგრეთვე მსახური სკოლისა იქნება. მასწავლებელმა უნდა იცოდეს გალობა-სიმღერა.

*** კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარია დღეს, ან ხვალ კოჯორში იქმნება გადატანილი.

*** შაბათს, 20 ივნისს, ქალაქის გამგეობის სადგომში მოლაპარაკება ექმნებათ ქალაქის თვით მმართველობაში მოსამსახურეთ იმის შესახებ, რომ დააარსონ საეკონომიო საზოგადოება და შეიძინონ მიწა თვითმართველობაში მოსამსახურეთათვის შენობის ასაგებად. მოსამსახურეთ აზრადა აქვთ მიჰმართონ ტფილისის ერთ-ერთს საკრედიტო დაწესებულებას და სთხოვონ სესხად ფული სადგომების ასაგებად, იმ პირობით-კი, რომ ვალი თანდათან იხადონ, ხოლო სრულიად გადახდის შემდეგ სადგომები იმათ დარჩეს. ასეთის პირობებით აგეს სადგომები კიევისა და მოსკოვის თვით მართველობაში მოსამსახურეთ.

*** წრეულ ს.-პეტერბურგის კბილის ექიმობის კურსები სამმა ქართველმა დაასრულა და მიიღო დიპლომი კბილის ექიმობისა. ერთი ამათგანი ქართლელია—სოლოღაშვილი, ორი—გურული—ვაშაყმაძე და მენაღარიშვილი. როგორც შევიტყეთ, ერთს მათგანს, სახელდობრ—სოლოღაშვილს აზრადა აქვს კაბინეტი ტფილისში დააარსოს.

*** გუშინ-წინ, 16 ივნისს, ტფილისის წმ. ნინოს დედათა სასწავლებლის მოწაფენი კოჯორში გადიყვანეს საზაფხულოდ.

*** 22 ივნისს ტფილისის საბრეშუმო სადგურში დაიწყება კურსები საერო სკოლების მასწავლებელთათვის. ზოგიერთი მასწავლებელნი უკვე ჩამოსულან ტფილისში.

*** მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ 11,550 მანეთი გამოუგზავნა ტფილისის გუბერნატორს საქონლის ჭირის წინაამდეგ საბრძოლველად. ბ ნ გუბერნატორმა ეს ფული ასე გაანაწილა: გორისა, სიღნაღისა, ახალქალაქისა და თელავის მაზრის უფროსებს ხუთას-ხუთასი მანეთი გაუგზავნა, ახალციხისა და ბორჩალოს მაზრის უფროსებს—სამას-სამასი და 200 მანეთიც ტფილისის მაზრის უფროსს.

*** როგორც ტფილისის სახელოსნო გამგეობის ცნობებიდგანა სჩანს, 1897 წელს ტფილისში ყოფილა 2,185 სახელოსნო, 2,747 სხვა-და-სხვა ხელობის ხელოსანი, 2,807 ხელოსნის თანაშემწე და 2,027 შეგირდი.

*** ამ ჟამად ტფილისის საყასბოზედ გაჰყავთ მტკვრიდგან წყლის მილი. ამ მილის წყალს სხვა-და-სხვა საჭიროებისათვის მოიხმარებენ, ხოლო სასმელად ავჭალის მილის წყალივე იქმნება. ბეითალთა კომისიას აზრადა აქვს, როდესაც ეს მილი გაყვანილი იქმნება,ააგონ მუშათათვის აბანო. ამ მუშებისათვის აზრადა აქვთ დააარსონ იაფ-ფასიანი სახაიე.

*** ქალაქის ბეითალისა და სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორისაგან შემდგარმა კომისიამ წარუდგინა ქალაქის გამგეობას მოხსენება იმის შესახებ, რომ გაუქმებულ იქმნას ის მეხაშეთა დუქნები, რომელიც ქალაქის საყასბოშია დაარსებული და აგრეთვე დანგრეულ იქმნას ამ დუქნების შენობები. ამის ნაცვლად კომისია ურჩევს გამგეობას ააგოს ახალი შენობა და იჯარით გასცეს იგი.

*** ქალაქის გამგეობის დადგენილებით, საყასბოში სიცხეებისა გამო საქონელს საღამოობით და ღამე ჰკლავენ.

*** სამთო დეპარტამენტს აზრადა აქვს ამ ახლო მომავალში გამოჰგზავნოს იმიერ და ამიერ კავკასიაში მცოდნე კაცები მადნეულობისა და საზოგადოდ ბუნების სიმდიდრის გამოსაკვლევად.

*** ტფილისის სამოსამართლო პალატამ მიიღო განსახილველად საქმე სუხუმის ოლქის კოდორის ნაწილის უფროსის, შტაბს-კაპიტანის ანდრია ჩეჩელევისა და ბარგუშეთის საბოქაულო ნაწილის გამგის იბრაგიმ-ბეგ აბედინოვისა, რომელთაც ის ბრალი ედებათ, რომ თანამდებობის აღსრულების დროს სხვა-და სხვა დანაშაული ჩაუდენიათ.

*** გორის მაზრის უფროსს ნება მიეცა დაურიგოს გაჭირვებულ მცხოვრებთ პური საზოგადო საწყობებიდგან იმ პირობით, რომ მცხოვრებლებმა სესხად აღებული პური დააბრუნონ შემოდგომის მოსავლიდგან.

*** სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, ამ ახლო ხანში პეტერბურგს მივლენ გერმანიის სტუდენტები, რომელნიც რუსეთში სამს თვეს დაჰყოფენ. სხვათა შორის სტუდენტები ამიერ კავკასიაშიაც იმოგზაურებენ.

*** ბაქოს ორის გაზეთის „კასპისა“ და „ბაქოს სავაჭრო სამრეწველო ფურცლის“ რედაქტორად დამტკიცებულ იქმნა ნაფიცი ვექილი ალიმარდან-ბეგ თოფჩიბაშევი.

*** გაზ. „ტფ. ფურ.“ იუწყება, რომ სატახტო ქალაქების ერთ-ერთი საადგილ-მამულო ბანკი აარსებს ტფილისში თავისს განყოფილებასაო.

*** გაზ. „ტფ. ფურ.“ სწერენ ქუთაისიდგან, რომ აქაურ ზოგიერთა ინტელიგენტთ განზრახვა აქვთ დააარსონ ქუთაისში ბავშვთა სამზრუნველო საზოგადოება.

*** სოფ. ბათაყო, (კავკავის მაზრა). ამ ივნისის პირველ რიცხვებში აქ ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა: პატარა ბავშვებს, დაცლილი ბერდანის „გილზის“ პატარა თოფი გაეკეთებინათ. ჩაეყარათ შიგ თოფის წამალი, დაედოთ ზედ ტყვია და მერე ცეცხლი ყურზედ; ტყვია გავარდა, მოხვდა დოევის პატარა ვაჟს თვალში და იქვე გამოასალმა წუთისოფელს. ამასთან ის უფრო სამწუხაროა, რომ ორს გვარში სისხლი ჩამოვარდა და ან დიდის სისხლის გადახდით უნდა შერიგდნენ, ან სისხლის აღებით.

აქეთ ყოველ დღე დაჟინებით სწვიმს, რამდენიც გაავდარდება, იმდენს ჩამოგვითოვლავს ხოლმე კავკასიონის მთებს. 9 ივნისსაც სულ ჩამოგვითეთრა მაღალი მწვერვალები. მთებში ზოგ-ზოგან სათიბი ბალახი დააზიანა თოვლმა. დიდი სიცივეები დაიჭირა ახალმა თოვლმა. მთის ხალხი დიდად შიშობს, ვაი თუ ყანებიც დაგვიძრას—დაგვიზიანოს თოვლმა და დავიღუპოთო. როგორც 9 სა, ისე 10 და 11-საც ჩამოთოვა მთის მწვერვალები. საქონლის საცოდაობაა, ჯოგი ველარ დაუყენებიათ საძოვარს მთებზედ.

*** გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერთ ჟურნალ „კრებულის“ მე-X № (ივნისის წიგნი). ჟურნალის შინაარსი: I გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფილება: I გამზრდელი—პოემა, II უბრალო საუბარი („კრებულის" ფოსტა), III საუბარი ინგლისელ ქალთან. II განყოფილება: IV ალექსი—პოემა, V პატარა ტარიელი—საყმაწვილო მოთხრობა. III განყოფილება: VI გამოცანები, შეკრებილი ს. მეჯვილაძისაგან, VII ფიქარი—ზღაპარი, ჩაწერილი მ. როსტომაშვილისაგან, VIII ზედის წერა—მისივე, IX წყეული ცოლი—მისივე, X გაუმაძღარი ცოლი—მისივე, XI გულკეთილი ამხანაგი—მისივე, XII უცნაური ბიჭი—მისივე, XIII გლეხი და მიქელ გაბრიელი—მისივე, XIV ნაზარა—ზღაპარი: ჩაწერილი ნ. სტურუასაგან, XV კვებულა—ზღაპარი. ჩაწერილი ნ. მაჭავარიანისაგან, XVI მონადირის შვილი—ზღაპარი, ჩაწერილი ნ. ქავთარაძისაგან, XVII მატყუარა—მისივე, XVIII ს. სარო (მასალა კ. გვარამაძისა) XIX ლექსები.

---

## ქალაქ ქუთაისის არჩევანები

14 ივნისი

„რომელთა აღიღონ მახვილი,
მახვილითა წარჰსწყმდენ".
(სახ. მათ.)

ვინც ქუთაისში თვალ-ყურს ადევნებდა ორის დასის ბრძოლას და მზადებას საქალაქო არჩევანებისთვის, ის მოუთმენლად მოელოდა ამ ბრძოლის შედეგს. ერთის მხრივ ქალაქის ძველი მოურავი ბ-ნი ლოლუა იყო და მისნი მომხრენი, ხოლო მეორე მხრივ ეგრედ წოდებული ოპოზიცია, შემდგარი ხმოსანთა უმრავლესობისაგან. ამ ორი დასის ბრძოლა ისე გამწვავებული იყო, რომ მოწინააღმდეგენი ერთმანეთს სრულიად აღარა ჰზოგავდენ: პირველიცა და მეორეც სცდილობდენ ერთმანეთი მეტად დაეჩაგრათ და მიწასთან გაესწორებინათ. ოპოზიციას, ცოტა არ იყოს, ეშინოდა, რადგან იგი მხოლოდ სიტყვიერის ქადაგებით ჰმედობდა ამომრჩეველებზედ, ხოლო მოწინააღმდეგე მხარე, როგორც უფრო პრაქტიკულის შეხედულების და მიმდევარი რუსულის ანდაზისა „Соловья баснями не кормятъ", სიტყვიერ ქადაგებას უმატებდა სხვა მოქმედებასაც, რომელიც, ჩვენის აზრით, არ უნდა იყოს მოწონებული.

გამოცხადებული იყო წინა დღეს, რომ 14 ივნისს ამომრჩეველთა კრება დაიწყება დილის 8 საათზედ და, ამომრჩეველთა გარდა, გარეშეთ არ მიეცემა შესვლის ნებაო. აქაური სტუდენტები და ოთხიოდე გაზეთის თანამშრომლები ამ განკარგულების გამო, ცოტა არ იყოს, დაღონდენ. სტუდენტებმა მიჰმართეს ქალაქის მოურავს და სთხოვეს, მიეცა მათთვის კრებაზედ დასწრების ნება, მაგრამ ეს თხოვნა არ იქმნა შეწყნარებული; რაკი გაეწყობოდა, დაღონებული სტუდენტები დამორჩილდნენ ბედს და არც ერთი მათგანი კრებას არ დასწრებია. თქვენს უმორჩილესს მოსაც უარი უთხრა ქალაქის მოურავმა, რადგან რედაქციისაგან წერილობითი რწმუნება არა ჰქონდა ხელთ, მაგრამ დილით არჩევანების დროს დასწრების ნება მომცეს, თუმცა რომ არ მოეცათ კი, მგონია ის მერჩივნა: მე და სამი სხვა გაზეთის თანამშრომელნი ისეთს ჯურღმულში ჩაგვსვეს, საიდგანაც საზოგადოება სრულიად დაფარული იყო ჩვენთვის, ისე რომ ჩვენ ტუსაღებს უფრო ვჰგავდით, ვიდრე გაზეთის თანამშრომლებს.

დილის 7 საათზე თეატრის წინ მთელი ქუჩა მაყურებლებით გაიტენა. თეატრის კარებს სასტიკად იცავდნენ პოლიციელნი და გარეშეს არავის უშვებდნენ. თეატრის დარბაზი აივსო ამომრჩევლებით, რომელნიც წყნარად ისხდნენ: სცენაზედ იჯდა ფერ მკრთალი და ცოტათი აღელვებული ქალაქის მოურავი; მის მახლობლად მდივანი რაღაცასა სწერდა. პარტერი აივსო ხალხით და ხალხი ახლა თეატრის ქანდარისაკენ მიდის. დასების აგენტები ფაცი-ფუცში არიან, ჩურჩულობენ, მიდი-მოდიან; ერთმანეთს რაღაცას ატყობინებენ. ოპოზიციის ახალგაზდა წევრთ მოუთმენლობა ეტყობათ, უნდათ მალე შეებრძოლნენ მოწინააღმდეგეთ: ან დაამარცხონ, ან დამარცხდნენ. სცენაზე გამწკრივებულია 182 საარჩევანო ყუთი.

$9^1/_2$ საათზედ თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ კრება იწყება, რადგან ამომრჩეველთა რიცხვი კანონიერია; შემდეგ საზოგადოებას აუხსნა წესი, თუ ვინმე გამოძიების ქვეშ ან სასამართლოს მიერ პასუხის გებაში ყოფილა ან ახლა იმყოფება, ან სხვა რაიმე მიზეზის გამო უფლებას მოკლებულია, იმას არა აქვს ნება არჩევანში მონაწილეობა მიიღოს; ამისთანა კაცს ვთხოვ დარბაზიდან გავიდეს; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დასჯილ იქნება კანონის ძალით. (მდივანმა წაიკითხა კანონის ეს მუხლი). დარბაზი მდუმარებს.

თავმჯდომარე. არის აქ თ. ზაალ ნოშრევანის ძე ჭავჭავაძე?

ხმები. აქ იყო ახლა და დარბაზიდან გავიდა.

დარბაზში კვლავ რამდენსამე წამს სიჩუმე გამეფდა. შემოვიდა თ. ჭავჭავაძე.

თავმჯდომარე. თ. ზაალ ნოშრევანის ძევ, თქვენ წელან აქ არა ბრძანდებოდით, როცა მდივანმა წაიკითხა კანონის ის მუხლი, რომელიც უკრძალავს ამომრჩეველს საქალაქო არჩევანებში მონაწილეობის მიღებას თქვენ ხომ არა ჰყოფილხართ სასამართლოს მიერ პასუხის გებაში მიცემული და დასჯილი?

თ. ჭავჭავაძე. დიახ, მე სამხედრო სასამართლოს მიერ ვიყავი დასჯილი, მაგრამ ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და მაპატია; ახლაც სახელმწიფო სამსახურში ვითვლები და დაჯილდოვებულიცა ვარ ხარისხით. (თ. ჭავჭავაძე ახლა მომრიგებელ-შუამავალია, წინედ ქუთაისის პოლიცმეისტერი იყო).

თავმჯდომარე. თქვენ უფლება არა გაქვთ არჩევანებში მონაწილეობა მიიღოთ, ამიტომ გთხოვთ, დარბაზიდგან გაბრძანდეთ.

თ. ჭავჭავაძე. მე უკმაყოფილებას ვაცხადებ და ვთხოვ მდივანს ეს გარემოება აღნიშნოს ოქმში. ვემორჩილები თქვენს ბრძანებას და მივდივარ.

თავმჯდომარე. ყველაფერი აღნიშნული იქნება. ერთი სხვა ამომრჩეველთაგანიც დაითხოვეს დარბაზიდან, რადგან მცირეწლოვანი აღმოჩნდა (24 წლისა იყო).

თავმჯდომარე. დასახელებულია სიით ას ოთხმოცდა-ორი კანდიდატი, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ყველა ამომრჩეველს კანონი ნებას აძლევს გამოაცხადოს სურვილი ხმოსნობისა და საარჩევანო ყუთი დაიდგას.

სამმა-ოთხმა ამისი სურვილი განაცხადა; ხოლო დასახელებულ კანდიდატთა შორის ორმოცზედ მეტმა უარი სთქვა. აიღეს იმათი ყუთები და ხელ-ახლად წაიკითხეს იმათი სია, ვინც ხმოსნობის სურვილი გამოაცხადა. საარჩევანო ყუთი დაიდგა 146 კაცმა. წინა რიგში იდგა იმ კანდიდატთა ყუთები, რომელნიც დასახელებულნი იყვნენ უმრავლესობის მიერ, შემდეგ სხვებისა. ამ გვარად, წინა რიგი დაიჭირეს ქალაქის თავის მომხრე კანდიდატებმა, ბოლო წყებაში ოპოზიციის კანდიდატების ყუთები ეწყო. ქალაქის თავმა გამოაცხადა, რომ არჩეული უნდა იყოს 59 ხმოსანი და 12 კანდიდატი. სცენაზე მიწვეულ იქმნა ქალაქის თავის მიერ 15 ასისტენტი და თვითოეულს მათგანს ჩაჰბარდა ათ-ათი ყუთი. კენჭის ყრა დაიწყო თორმეტის საათის ნახევარზედ.

ი. თ. სანებლიძე. ბ-ნო თავმჯდომარე, საარჩევანო ყუთები რიგიანი არ არის, რადგან კენჭები არა ცვივა ქვევით, ზევით რჩება; როცა მე ჩემი კენჭი ჩავაგდე, შევნიშნე, რომ იქ სხვისი ჩაგდებული კენჭი ეგდო. მე ის კენჭი თავისის დანიშნულებისამებრ ჩავაგდე.

ამისთანა საჩივარი სხვებმაც განაცხადეს, მაგრამ თავმჯდომარე ამშვიდებდა მათ და ეუბნებოდა, რომ ყუთები სამაგალითოა, გამოწერილია ტფილისიდან, სადაც 2,000 ამომრჩეველია; იქ თუ ივარგა, აქ რატომ არ უნდა ივარგოსო.

ხმები. შეიძლება ყუთები კარგი იყოს, მაგრამ კენჭები არ ვარგა, კენჭის მაგიერ თხილი მოგიტანიათ, მელანში შეგიღებავთ ჯერ არ გამშრალა, ყუთის მაუდს ეწებება და არ ვარდება. შეიძლება ამის გამო ვინმემ ბოროტად მოიხმაროს კენჭიო, ე. ი. შავიდგან თეთრ განყოფილებაში გადმოიტანოს, ან თეთრიდგან შავში. ამის დასამტკიცებლად ბ-ნმა მოსეშვილმა ოთხი კენჭი ამოიღო ერთის ყუთიდგან და საზოგადოებას აჩვენა, მეორე ყუთში კიდევ ერთი ამგვარი ურჩი კენჭი აღმოჩნდა. მერე ყოველის ჩაგდების შემდეგ ყუთებს ანძრევდნენ, რომ კენჭი თავის ადგილას ჩავარდნილიყო.

ს. თოფურია. სამწუხაროა, რომ ბ-ნმა სანებლიძემ ისარგებლა ერთის კენჭით, რომელიც იმას არ ეკუთვნოდა...

ქალაქის თავი ხშირად მიდი მოდის საარჩევნო ყუთებ შორის და ხან ერთის ასისტენტის მაგიერობას ეწევა, ხან მეორისას. ამ ნაირი მოქმედება თავმჯდომარისა ამომრჩეველთ არ მოსწონთ და შენიშნავენ, რომ იგი უნდა წინ იჯდეს და ისე ადევნებდეს თვალ-ყურს ასისტენტის მოქმედებას, სრული ნდობა უნდა ჰქონდეს ასისტენტებისა, რომელნიც თვითონ თავმჯდომარისაგან არიან ამორჩეულნიო. თავმჯდომარე ამ შენიშვნებს ყურადღებას არ აქცევდა და კვლავ განაგრძობდა ყუთებ შორის სიარულს.

მოთმინებიდგან გამოსულმა დ. ა. ლორთქიფანიძემ მკაცრად შენიშნა, რომ მოქმედება თავმჯდომარისა უმართებულოა და შეუსაბამოა, ეს არ უნდა იკადროს ქალაქის წარმომადგენელმა.

თავმჯდომარე. კანონი ნებას აძლევს თავმჯდომარეს თვალ-ყური ადევნოს ასისტენტების მოქმედებას.

დ. ა. ლორთქიფანიძე. იქნება კანონი გაძლევდეს მაგის უფლებას, მაგრამ თქვენ არ უნდა იკადროთ მაგ გვარი მოქმედება, რადგან ამით ავიწროებთ ამომრჩეველთა თავისუფლებას.

საღამოს ცხრა საათზედ კენჭის ყრა გათავდა და ასისტენტებმა 20 წამით შეისვენეს. დაიწყეს კენჭების თვლა, რის შემდეგაც აღმოჩნდა, რომ ოპოზიცია გამარჯვებული დარჩა; ხმოსნების უმრავლესობა ოპოზიციიდგან იქმნა ამორჩეული. აქ მოვიყვან იმათ სიას, რომელნიც ხმოსნებად იქმნენ ამორჩეულნი, 1898—1902 წლისათვის.

პირველი ნაჩვენები რიცხვი იქნება თეთრი კენჭისა, მეორე შავისა. სულ ამორჩეულია 60 კაცი. აი, სია ახალი ხმოსნებისა:

| | |
|---|---|
| ფიფინოვი ალ. ი. . . . | 453—119 |
| ლორთქიფანიძე კ. ბ. . | 376—196 |
| ქიქოძე მ. ა. . . . . | 376—196 |
| დარახველიძე მ. ე. . | 372—200 |
| თუმანიშვილი პ. ა. . | 371—201 |
| ლორთქიფანიძე ს. ნ. . | 369—203 |
| გამრეკელი გ. გ. . . | 368—204 |
| ხელთუფლიშვილი დ. ბ. | 365—208 |
| კოკოჩაშვილი ე. პ. . | 362—214 |
| პეტრიაშვილი ვ. ი. . | 360—214 |
| გველესიანი ი. ზ. . . | 360—212 |
| აკოფოვი გ. ს. . . . | 359—213 |
| ხეჩინოვი ს. ი. . . . | 354—217 |
| თოფურია ს. ბ. . . | 352—220 |
| კოკოჩაშვილი ლ. პ. . | 352—222 |
| დათეშიძე ყ. ბ. . . | 349—223 |
| ბაქრაძე დ. ნ. . . . | 345—229 |
| ჩიმაკაძე ი. გ. . . . | 347—227 |
| ქოჩაკიძე ა. . . . . | 345—218 |
| საყვარელიძე ა. ს. . . | 343—229 |
| აბდუშელიშვილი დ. ნ. | 342—234 |
| აბულაძე ს. ი. . . . | 342—229 |
| ჭილაძე ვ. ი. . . . | 336—237 |
| ლოლუა ლ. თ. . . | 334—239 |
| ბარათაშვილი გ. ს. . | 334—240 |
| ლოლობერიძე ს. ბ. . | 327—246 |
| კვირკელია დ. ბ. . . | 326—246 |
| მახარაძე რ. ქ. . . . | 327—247 |
| აბდუშელიშვილი ა. ნ. | 325—249 |
| ბაქრაძე კ. დ. . . . | 324—248 |
| ოცხელი ი. ი. . . . | 323—249 |
| ჯაიანი ი. პ. . . . | 320—252 |
| ჭეიშვილი ს. ი. . . | 320—252 |
| ნაზაროვი დ. ა. . . | 319—252 |
| მიქელაძე ი. ა. . . . | 317—257 |
| პურადოვი ი. ი. . . | 317—261 |
| კიზირია გ. ს. . . . | 316—257 |
| ხაინდრავა ი. ტ. . . | 314—258 |
| კემულარია გ. ი. . . | 312—262 |
| ვიტუშინსკი ვ. ა. . . | 311—262 |
| ლორთქიფანიძე მ. გ. . | 311—262 |
| ქაჯაია ელ. . . . . | 309—263 |
| ტატიშვილი გ. რ. . | 307—266 |
| თევდორაძე . . . . | 307—265 |
| ჯორჯიკია ს. პ. . . | 306—270 |
| მოსეშვილი პ. . . . | 303—267 |
| რელიგიონი ფ. ან. . | 302—270 |
| ფალავა მ. გ. . . . | 301—271 |
| წულუკიძე ა. გ. . . | 300—272 |
| ჯანელიძე ნ. . . . | 298—274 |
| ფირალოვი პ. ა. . . | 298—274 |
| ნანეიშვილი ა. თ. . | 297—274 |
| ბაინდუროვი ი. ს. . . | 297—274 |
| გაბაშვილი ა. მ. . . | 295—277 |
| დავითაშვილი ი. ქ. . | 295—277 |
| მაღრაძე ნ. რ. . . . | 294—279 |
| ქორქაშვილი ვ. . . | 293—279 |
| ჩიკვაიძე დ. ნ. . . | 293—279 |
| ქელბაქიანი მ. . . . | 292—280 |
| ნიჟარაძე ი. . . . | 292—280 |

ქალაქის მოურავის თანამდებობის კანდიდატად ასახელებენ ნაფიცს ვექილს მ. ა. ქიქოძეს.

---

## ყოვლად-უსამღვდელოესი, გურია-სამეგრელოეს ეპისკოპოსი ალექსანდრე თავისს სამწყსოში

მხოლოდ 18 მაისს დილას გავიგეთ აქ გაზეთებიდგან, რომ იმ დღეს დილით წამობრძანდებოდა მისი ყოვლად უსამღვდელოესობა, ეპისკოპოსი ალექსანდრე თავისს ახალს სამწყსოში. გაიგეს თუ არა ეს, ახალსენაკის და თითქმის ნახევარ-სამეგრელოს მოხელეებმა, თავად-აზნაურობამ და მდაბიო ხალხმა მოიყარა ამ საღამოს თავი რკინის გზის ახალსენაკის სადგურზედ, მაგრამ მოლოდინი გაუცრუვდათ. მისს უსამღვდელოესობას ენებებინა გაჩერებულიყო იმ ღამეს სადგურს სამტრედიაში, რომ მეორე დილას, 19-ს მაისს, წაბრძანებულიყო ქ. ფოთში. 18 მაისს, გაეგოთ რა ფოთელებს მისის მეუფების ყოფნა სადგ. სამტრედიაში, იქ წავიდნენ მისაგებებლად: დეკანოზი მაჭარაშვილი, ეპარქიის სასულიერო სკოლათა მეთვალყურე თ. ჟორდანია, ეპარქიის კანცელარიის მდივნის თანამდებობის აღმასრულებელი კ. ხოფერია, ქალაქის წარმომადგენელნი და სხვ. 19-ს მაისს, დილის 8 საათზედ მიბრძანდა მისი მეუფება ქ. ფოთში. სადგურზე დიდ-ძალი ხალხი დაუხვდა. სხვათა შორის იყვნენ: ქალაქის მოურავი და საპჭოს წევრნი, მოხელენი, სამღვდელონი და სხვ.

23 მაისს მისი მეუფება წაბრძანდა დ. ახალსენაკში. სადგურზედ დიდ-ძალი სამღვდელოება, თავად-აზნაურობა, მოხელენი და მდაბიო ხალხი დაუხვდა. ქალაქის დეპუტატებმა პურ-მარილი მიართვეს. იმ დღეს მისი მეუფება მწირველი ბრძანდებოდა ძველ-სენაკში. 23-ს მაისს საღამოს ლოცვა მოისმინა ახალ-სენაკის ეკკლესიაში და ღამის ორს საათზედ წაბრძანდა გურიას, სოფ. ნიგოითში, სადაც მეორე დღეს, სულის წმიდის მოფენის დღესასწაულს მწირველი ბრძანდებოდა. იმ დღეს საღამოს წაბრძანდა ისევ ქ. ფოთში და 25 მაისს პირველად სწირა ფოთის საკრებულო ტაძარში. წირვის დასასრულს სიტყვა წარმოსთქვა ქართულს ენაზედ. 26 მაისს ისევ წაბრძანდა დ. ახალ-სენაკში, სადგურიდგან პირდაპირ სასულიერო სასწავლებელში მიბრძანდა. სასწავლებლის დარბაზში დაუხვდნენ მასწავლებელნი და მოსწავლენი სასწავლებლისა. ზედამხედველმა ბოლოლიუბოვმა სიტყვა წარმოსთქვა მისის უსამღვდელოესობის მიმართ და მისმა მეუფებამ უპასუხა: მე ყოველთვის მზადა ვარ, რომ ყოველს კეთილს საქმეში მოგეხმაროთ და მფარველობა გაგიწიოთო. სენაკიდგან იმ დღეს მისი მეუფება წაბრძანდა მარტვილის მონასტერში და დაათვალიერა მონასტრის სიძველენი და სიმდიდრენი და ადგილობრივი ორ-კლასიანი სამაგალითო სამრევლო-საეკკლესიო სასწავლებელი. 28 მაისს სწირა მონასტრის ტაძარში. მეორე დღეს ისევ ფოთში დაბრუნდა. გზაზედ ინახულა ბანძის მეორე კლასიანი სამრევლო საეკკლესიო სასწავლებელი. გამოსცადა მოსწავლენი და დიდად კმაყოფილი დარჩა.

6 ივნისს მისი მეუფება წაბრძანდა ზუგდიდში. სენაკის და ზუგდიდის მაზრების საზღვარზედ, სოფ. ქვალონში, სენაკიდგან მერვე ვერსზედ, და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უხვდნენ: ყულევის ბოქაული და თავად-აზნაურობა, რომლებმაც ცხენებით მიაცილეს სოფ. ხობამდის. აქ დაუხვდნენ სხვა ცხენოსანი თავად-აზნაურები და მიაცილეს სოფ. ხეთამდის, ხეთაში ისევ სხვა თავად-აზნაურები, რომლებმაც მიაცილეს ს. ცაიშამდის. ცაიშში მის ყოვლად უსამღვდელოესობას დაუხვდნენ მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლი, თავად-აზნაურობა ზუგდიდის მაზრისა, მაზრის უფროსის თანაშემწე, ზუგდიდის მაზრის ბლაღოჩინები, საპატიო სამღვდელოება, რომლებიც ეტლებითა და ცხენებით უკან მისდევდნენ მის მეუფებას დ. ზუგდიდამდის. ზუგდიდში ქალაქის თავში მიეგებნენ მაზრის უფროსი, მოქალაქენი, მაზრის მოხელენი, მასწავლებელნი და მრავალი ხალხი. მისმა მეუფებამ მოკლე სიტყვით მიმართა საზოგადოებას და პირდაპირ ეკლესიაში მიბრძანდა. აქ მცირე პარაკლისის შემდეგ სიტყვით მიმართა მისს მეუფებას მღვდ. ვახანიამ. პატივცემულმა ეპისკოპოსმა იმ დღეს დაათვალიერა ადგილობრივი ექვს კლასიანი სამოქალაქო სასწავლებელი. 7 მაისს მწირველი ბრძანდებოდა ზუგდიდის მაცხოვრის ეკლესიაში. წირვის წინ მღვდ. ი. ბობოხიძემ გრძელის სიტყვით მიჰმართა, რომელშიაც აღნიშნა რა ყოველი კეთილი საქმე მისის მეუფებისა, ნაღვაწი ეკლესიისა და მამულის სასარგებლოდ, სთქვა, იმედია, მისი ყოვლად უსამღვდელოესობა განსაკუთრებულს ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ გურულ-მეგრელები ამ 10—12 წლის განმავლობაში სარწმუნოებისა და ზნეობის მხრივ დიდად დაქვეითდნენ, მიიღებს ამის წინააღმდეგ ყოველგვარ ღონისძიებას და მოსპობს მავნე წეს-ჩვეულებასაო.

როცა მისი მეუფება მიბრძანდებოდა ახალ-სენაკიდგან ზუგდიდში, გზაზედ თავად-აზნაურობისა და ხალხის გარდა უხვდებოდნენ ყველა მახლობელ საეკლესიო და სამინისტრო სკოლების მასწავლებელნი და მოსწავლენი მწყემსთ-მთავრის ლოცვა-კურთხევის მისაღებად. გზაზედ ყველგან როგორც მახლობელ, ისე მოშორებულ ეკლესიებში განუწყვეტლივ ზარის რეკა იყო მთელს დღეს, სამღვდელოება კი იხდიდა პარაკლისს მისის მეუფების სადღეგრძელოდ.

7 ივნისს საღამოს მისმა მეუფებამ სოფ. ჭკადუაში ინახულა პრინცესა სალომე მურატისა, უგანათლებულესი კნიაჟნა სამეგრელოსი. 8 ივნისს მისი მეუფება დაბრუნდა ქ. ფოთში.

მისმა მეუფებამ მობრძანებისათანავე განსაკუთრებითი ყურადღება მიაქცია კანცელარიაში მოხელეთა ავკარგიანობას და აგრეთვე საკრებულო ტაძრის კრებულს. არ დასტოვა უყურადღებოდ ის გარემოებაც, რომ მთელს სამეგრელოში მარტო სამი სემინარიაში ნასწავლი ბლაღოჩინია, დანარჩენნი ორის სამის გარდა (სხვა სასწავლებლებში ნასწავლისა), არ არიან ღირსნი ამ თანამდებობისა, მით უმეტეს, რომ ამ ბოლო დროს ხალხის განათლების საქმე სამღვდელოებასაც აბარია და ბლაღოჩინები არიან ზედამხედველნი და ხელმძღვანელნი როგორც ქონებრივის, ისე პედაგოგიურის მხრივ თავის საბლაღოჩინო ოლქის ყველა საეკლესიო სკოლებისა.

X

## წერილი სამეგრელოდგან

8 ივნისი

ივნისიც გაავდარდა, ცას მუდამ სახე ჩამოსტირის, თითქო კვერს უკრავს ესეც მაისსაო. მაისში ვინც მოასწრო ყანების დათესვა, რასაკვირველია, დღეს ის თამამად გასამარგლავია, მაგრამ უბედურება ის არის, რომ მხვნელ-მთესველს ვერ გაუმარგლავს, რადგანაც ბუნება დღეში ასჯერ იცვლება: ხან ელვა-ქუხილია და ხან წარღვნისთანა წვიმები. ყველანი დიდის სიხარულით მოველოდით ივნისის გრძელ სამუშაო დღეებსა, როდესაც მაისში მოუთავებელი ყანები უნდა დათესილიყო, მაგრამ როდი გვისმინა ივნისმა. აღარ ვიცით რა გვეშველება, თუ ასეთის ცუდის ტაროსებით განვლო ივნისმა თვისი დღეები. ბალახსა და სიმინდს ვერ გაარჩევს კაცი ერთმანეთში და, აბა ვის შეუძლიან იმისი გამარგვლა. მეორე უბედურება ისიც არის, რომ ზოგიერთ ადგილის სიმინდით დათესილ ყანებს ერთნაირი უჩინარი მწერი ჰირნახულს მუსრს ავლებს. მუხლამდე სიმაღლე სიმინდებს ძირიანად აქცევს ეს მწერი და ხელ-მეორედ დასათესად ჰხდის ყანებსა. ადგილ-ადგილ კიდეც დასთესეს იმისგან გაპარტახებული ყანები, მაგრამ კიდევ შიშია, ვაი თუ კიდევ მოაცდინოს ჰირნახულიო. თუმცაღა აქა იქა სდგას სიმინდები, მაგრამ ისიც უსუსურია, გული შეჰმული აქვს და ჰლამის წაქცევასა. როგორც მხვნელ-მთესველნი ამბობენ, ამ მწერს დიდად ხელს უწყობს თურმე ხშირი წვიმები... აი ამგვარს სურათს წარმოადგენს ჯერ-ჯერობით ჩვენსკენ წრევანდელი მოსავალი...

მოსავალი მოსავალია, მაგრამ სამწუხარო ესეც არის, რომ წელს ხშირი სიკვდილი ადამიანისა თავს არ გვანებებს. არავის ახსოვს ასეთი ხშირი სიკვდილი ადამიანისა. დღე ერთი და სამეგრელოში სიკვდილის ამბავი-კი ათია. პატარა ბავშვები უფრო წითელა და კისერა სენით იხოცებიან.

ტრიფონ კალანდარიშვილი

## წერილი ოსეთიდგან

მაისის თვე გავიდა, მაგრამ სულ დაჟინებული წვიმებია. ერთი დღე არ ყოფილა, რომ არ გაავდარებულიყო. მთის ოსები დიდს სიხარულში არიან: წელს ჩვენი წელიწადი არის, რამდენიც ხშირი წვიმაა მაისში, იმდენი უფრო უხდება ჩვენს ხრიოკს ადგილებს და კარგი მოსავალი მოგველისო. მართლაც-და, ისეთი ქერები, პურები და სათიბი ბალახია ჯერ-ჯერობით აქეთ, რომ მტრისთვისაც სასიამოვნო სანახავია. თუმცა; მთების ჰირნახულს ასე არგო მაისის დაჟინებულმა წვიმებმა, მაგრამ ბარად კი ბევრგან ზარალი მისცა; ბევრგან სიმინდები ჩალპა, აღარ ამოვიდა და მაისის გასულში ხელ-მეორედ დასთესეს და ღმერთმან უწყის, მოესწრობათ-და თუ არა ასე გვიან დათესილი სიმინდი. 18 მაისს სეტყვამაც გადაჰკრა ზოგს სოფლებს თავისი მწვავე მათრახი. მაგალითებრ, სტანიცა არხონკასა და არდენსა, სოფლებს ყობანსა, ყადგარონსა, გიზელსა, ბესლანსა, ზილგასა და სხვ.

ქიშტები თავისას არ იშლიან და ხანგამოშვებით გამოინადირებენ და მგლურად გაჰკრავენ ხოლმე კლანჭს. ბევრჯელ თითონვე დაზიანებული ბრუნდებიან. წარსულ მაისის შუა რიცხვებში სოფ. ხუმელაგის მინდორში ღამის მეხრეებს დაეცნენ ქიშტები და ოთხი ხარი მოსტაცეს, ასტყდა თოფის სროლა ქურდებსა და მეხრეებს შორის, რასაკვირველია, აქ ქიშტებმა გაიმარჯვეს, რადგანც მათი ნასროლი ბერდანის ტყვია სეტყვასავით მოდიოდა, ერთი ცხენი და ერთი ხარი მოუკლეს მეხრეებს, ოთხი ხარი გაირეკეს და გაუდგნენ გზას. მაისის მიწურულებში, კავკავზედ 8 ვერსით მოშორებით გერმანელების ახალ-შენის პატარა მწყემსებს დაეცნენ დღე ქიშტები და დასტაცეს ცხენები. აქ კი ბედმა უმტყუნათ ქიშტებს; მაშინვე უკან დაედევნენ გერმანელები, ორი ქიშტი მოჰკლეს და მესამეს თავი გაუტეხეს და სასიკვდილოდ დასჭრეს.

მაისის შუა რიცხვებამდის აქეთ ხალხი ძლიერ დაღონებული იყო, ფქვილისა და სიმინდის სიძვირისა გამო. ხუთ ფუთიანი ტომარა, რომელიც წინად ექვს მანეთად გვიყიდნია, თორმეტ მანეთად გახდა და სიმინდი ფუთი სამ აბაზად. დღეს-კი ცოტა დაიწია ორივეს ფასმა, ფქვილი ცხრა მანეთზედ ჩამოვიდა და სიმინდი—შვიდ შაურ ორ—აბაზად ჰფასობს.

თიბათვის პირველი რიცხვებიც წვიმებით დაგვიდგა და ზოგან სეტყვაც მოვიდა, კავკასიონის მთებზედ კი თოვლი დასდო, თუმცა ისევე მალე აიღო.

ქართველი ოსებში

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

26 მაისს პეტერბურგის მარიის თეატრში გამოსცადეს მომღერალ ყმაწვილ კაცებისა და ქალების ხმები. გამოსაცდელად გამოცხადდა თურმე სულ 15 კაცი და მათ შორის ერთი ჩვენი თანამემამულეც, პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი და კონსერვატორიის ყურის მგდებელი ბ-ნი ნანობაშვილი. გაზ. „Петер. Газета“-ში წერილია დაბეჭდილი ამ გამოცდის შესახებ. სხვათა შორის, გაზეთი სწერს:

„დიდი ყურადღების ღირსია ტენორი ნანობაშვილი. იშვიათის და ნამდვილის di-forza ტენორის პატრონია. მართალია, ნანობაშვილმა ნაკლებად იცის ჯერ სიმღერა, მაგრამ იგი ახალგაზდა კაცია, სულ 19, ან 20 წლისა და უმჯობესიც-კი იქმნება, რომ ერთი წელიწადი მოიცადოს და სიმღერას მოანდომოს. ხოლო ხმა თანაზომიერი, ძლიერი და მშვენიერი აქვს. ძნელი არია ელიაზარისა „ჟიდოვკა“-ს ოპერიდგან თავისუფლად, თითქოს ხუმრობით შეასრულა. ძალიან სამწუხაროა, თუ ეს მშვენიერი ხმა არა-მცოდნე კაცის ხელში ჩავარდება და დაიღუპებაო“.

## რუსეთი

—

ამ ჟამად ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ საკანონმდებლო წესები იქმნეს შემოღებული საფთიაქო მაღაზიების პატრონთა უფლების შესაზღუდავად და დღევანდელზედ მეტი თვალ-ყური ედევნოს ამ მაღაზიებსაო.

— სამკურნალო დეპარტამენტმა განსაკუთრებულის ბრძანებით აჰკრძალა ანილინის საღებავის ხმარება საკანდიტეროებში და ღვინისა და სხვა სასმელების სარდაფებში.

— ფარმაციის მაგისტრისა, პროვიზორისა და მეაფთიაქის თანაშემწის ხარისხის მისაღებად 1898—1899 სამოსწავლო წელს მსურველნი გამოიცდებიან 1 ოქტომბრიდგან 15 ნოემბრამდის და აგრეთვე 1 თებერვლიდგან 15 მარტამდის. განზრახვა აქვთ ფარმაცევტებისათვის განსაკუთრებული გულზედ სატარებელი ნიშანი შემოიღონ, რომლის ტარების უფლება მხოლოდ ფარმაციის მაგისტრთ მიენიჭებათ.

— 1 ივლისს დამთავრდება იმათ თხოვნების მიღება, რომელთაც ჰსურთ გზათასაინჟინერო ინსტიტუტსა და პეტერბურგის სატყეო ინსტიტუტში შესვლა.

— ამ ჟამად ხელი მიჰყვეს სრულიად ახალის სახის 1, 2, 3 და 7 კაპ. მარკების ბეჭდვას.

— მომავალ სამოსწავლო წელს პეტერბურგის საისტორიო-საფილოლოგო ინსტიტუტში მხოლოდ იმ ახალგაზდათ მიიღებენ, რომელთაც ძველის ენების სწავლის ნიშანი 4 ექმნებათ.

— ამ ჟამად სასულიერო უწყებამ განმარტა, რომ სამღვდელოებას, როგორც საეკლესიო, ისე სამოქალაქო კანონდებულების ძალით არავითარი უფლება არა აქვს იჯარით აიღოს ვისიმე მამულიო.

— მომავალ სამოსწავლო წელს გზათა საინჟინერო ინსტიტუტში მიღებულ იქმნება 115 კაცი, პირველ კურსზედ—100 და მეორე კურსზედ—15.

— განზრახვა აქვთ რუსულ გაზეთების რედაქციებს ხუთ-ხუთი უფასო ბილეთები დაურიგონ პარიჟის საერთაშორისო გამოფენაზედ დასასწრებლად.

## უცხოეთი

—

**გერმანია.** სოციალ-დემოკრატთა გამარჯვება არჩევნების დროს მოსვენებას არ აძლევს როგორც მთავრობას, აგრეთვე ყველა სხვა დასს. ამ რამდენისამე დღის წინად მინისტრებს ბჭობა ჰქონდათ იმის შესახებ, რა ღონე ვიღონოთ, რომ სოციალ-დემოკრატთა გაძლიერებას ხელი შეუშალოთო. მინისტრები ვერაფერ გარდაწყვეტილებას ვერ დაადგნენ და მხოლოდ სთქვეს, დამატებით არჩევნებს დაუცადოთ და ამ საგნის შესახებ მაშინ ვიფიქროთო. გაზეთებიც მხოლოდ ამაზედ ლაპარაკობენ. ზოგი გაზეთი სწერს, რომ თუ მართლა ძალიან ბევრი სოციალისტი მოჰყვა პარლამენტში, მთავრობა მაშინ უკანასკნელ საშუალებას მიჰმართავსო: სხდომები დაიწყება თუ არა, დაითხოვს პარლამენტს და ახალ არჩევნებს დანიშნავსო. ოცი წელიწადი იქმნება, რაც გერმანიაში მთავრობა სოციალისტებს ებრძოლება. წინად განსაკუთრებული კანონები იყო გამოცემული, რომლის ძალითაც ადმინისტრაცია სდევნიდა სოციალისტებს და ხელს უშლიდა იმათის მოძღვრების გავრცელებას. აწინდელის იმპერატორის ვილჰელმ მე-II-ის ტახტზედ ასვლის შემდეგ ეს კანონები გაუქმებულ იქმნა და იმათ ნაცვლად მთავრობა სხვა ფრივ სცდილობს სოციალიზმის აღმოფხვრას. მაგრამ შედეგი ორსავე შემთხვევას ერთი და იგივე მოჰყვა: სოციალისმი არამც თუ არ აღმოიფხვრა და იმის მომხრეთა რიცხვმა არამც თუ არ იკლო, არამედ უფრო გავრცელდა და მოიმატა. სოციალ-დემოკრატებს 1881 წელს პარლამენტში სულ 12 კაცი ჰყავნდათ. ამის შემდეგ სოციალ დემოკრატთა რიცხვი პარლამენტში ყოველ წელს მატულობდა.

1890 წელს მათი რიცხვი 35 კაცამდის ავიდა, შარშან პარლამენტში ჰყავნდათ 48 კაცი. ხოლო წელს ეგულებათ, როგორც ჰფიქრობენ, 80 კაცზედ მეტი. არც ერთს დასს გერმანიაში ასე არ უმატნია. პირ-იქით სხვა დასებს ყოველ წელიწადს აკლდებათ. ნაციონალ-ლიბერალებს 1874 წელს 150 დეპუტატი ჰყავდათ, 1887 წელს —98, 1890 წ.—42, 1893 წ. 50. კონსერვატორთა რიცხვმა თუმცა იმატა, მაგრამ ძალიან ნაკლებად. 1874 წელს მათ 21 დეპუტატი ჰყავდათ, 1887 წ.—78, 1890 წელს—72, 1893 წ. 74. ესრედ წოდებულ „ცენტრის“ დეპუტატთა რიცხვი 1874 წელს—94 იყო, 1887 წ.—101, 1890 წელს.—105, 1893 წ.—103. წლევანდელ არჩევნების შესახებ ნამდვილი ციფრები ჯერ არ არის. ამ რიგად სოციალ-დემოკრატთა დასი საშინელის სისწრაფით იკვლევს გამარჯვების გზას და წინ მიდის. ესეც კი უნდა ვსთქვათ, რომ წლევანდელი მათი გამარჯვება განსაკუთრებულის მიზეზის ბრალი იყო. ამ უკანასკნელ დროს აგრარიები (მიწის-მფლობელნი) თითქმის ყოველ დღე შესტირიან მთავრობას, უცხო სახელმწიფოდგან მოტანილ პურს ჩვენი პური მეტოქეობას ვეღარ უწევს და ამიტომ მოუმატეთ შემოსატან-გარდასახადსაო. რასაკვირველია, გარდასახადი რომ მოემატოს, მაშინ თვით პურსაც მოემატება ფასი და ეს კი არავისათვის არ არის სახეირო, გარდა თვით აგრარიებისა. აი, სწორედ, ბევრმა ამომრჩეველმა იმის შიშით, რომ აგრართა პოლიტიკის მომხრე ბევრი არ მოჰყვეს პარლამენტში და იმათ წყალობით შემოსატანის გარდასახადი არ დაედოს პურს, სოციალ-დემოკრატების მხარი დაიჭირა და იმათ ჩაუგდო თეთრი კენჭი, რადგანაც დარწმუნებულია, რომ ეს უკანასკნელნი წინააღმდეგნი არიან აგრართა პოლიტიკისა. მაგრამ ვამბობთ, უამ მიზეზოთაც სოციალისტთა დეპუტატების რიცხვი მოიმატებდა. წელს თუ 80 კაცია არა, სამოცი მაინც ეყოლებოდათ. როგორც უკვე ვსთქვით, მთავრობა, ჟურნალ-გაზეთობა, სოციალ-დემოკრატთა ჟურნალ-გაზეთების გარდა, და საზოგადოება დიდ ფიქრსა და ფაცა-ფუცშია ამის გამო. არც საკვირველია, რომ მთავრობა და იმის მეგობრები აღშფოთებულნი იყვნენ: ევროპის არც ერთს სახელმწიფოში სოციალიზმს არა ჰყავს იმდენი მომხრე, რამდენიც გერმანიაში ჰყავს და არც ერთს სახელმწიფოში მათი დასი ისე არ არის მოწყობილი, როგორც გერმანიაში. ზოგი გაზეთები ურჩევს მთავრობას ბისმარკის დროის სოციალისტთა წინააღმდეგი კანონები შემოიღეო. ე. ი. ისეთი კანონები, რომელნიც სოციალისტთა სდევნიან.

—

**საფრანგეთი.** თითქმის ერთი თვე იქმნება მას შემდეგ, რაც მელინის სამინისტრომ თანამდებობას თავი დანება

და ჯერაც ახალი სამინისტრო არ შემდგარა. ხუთ-ექვს კაცს მიანდო საფრანგეთის პრეზიდენტმა კაბინეტის შედგენა, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ვერ მოახერხა ამ საქმის სისრულეში მოყვანა. სხვა და სხვა დასების მეთაურებთან მოლაპარაკების შემდეგ ყველა მათგანმა უარი განაცხადა, არ შემიძლიან კაბინეტის შედგენაო. უკანასკნელად, როგორც გუშინდელი დეპეშა იუწყებოდა, ეს საქმე პრეზიდენტმა ბრისსონს მიანდო. დეპეშაში ისინიც-კი იყვნენ დასახელებული, ვინც მინისტრებად იქმნება მიწვეული. მაგრამ შეიძლება ეს მოლოდინიც არ გამართლდეს და ერთი ორი დღის შემდეგ ბრისსონმაც, სხვასავით მალა-უნებურად უარი განაცხადოს. ეს არც საკვირველია. აწინდელ პარლამენტში არც ერთს დასს არა აქვს იმდენი ხმა და ძალა, რომ შესძლოს მარტომ, ან ზოგიერთის უმნიშვნელო დასის დახმარებით, მთავრობას მხარი დაუჭიროს. მაშასადამე, თუ სამინისტრო შესდგა, იმ პირობით შესდგება, თუ რამდენიმე უმთავრესი დასი დაჰპირდა სამინისტროს, თქვენი მომხრე ვიქნებითო. ამ შემთხვევაში მინისტრებად ყველა დასიდგან იქმნება მიწვეული თითო ან ორ-ორი კაცი და ამასთან მთავრობამ უნდა აღუთქვას კიდეც, რომ ესა თუ ის მათი სურვილი ან პროექტი განხორციელებული იქმნება. სწორედ ასეთის სამინისტროს შედგენა ჰქონდა აზრად ყველა იმას, ვისაც პრეზიდენტმა მიანდო ეს საქმე. ხოლო ვერ მოახერხეს იმიტომ, რომ დასის მეთაურებთან ვერ მორიგდნენ. ეხლა ბევრი გაზეთი სწერს, რომ შეიძლება, თუ ბრისსონმაც ვერ შეადგინა სამინისტრო, პარლამენტი დაითხოვონ და იმის ნაცვლად ახალი არჩევანები დანიშნონ.

---

## დამაკვირდი

თვითოეულსა მკეცთაგან შეზავებულსა მკეცსა ვემსგავსე.

წმ. დავით აღმაშენებელი

* * *

მარადის საყვარელ არს მსგავსი მსგავსისა.

კვირილე სკვითიეპოლელი

* * *

სულო ჩემო, საყვარელო სტუმარო და მეუღლეო გორცისა ამის ჩემისაო, სადა წარხვალ აწ (სიკვდილის წინად ნათქვამია) ალქატი და შიშველი და განგრილებული? სიცილი უკვე არღარა გექნების, ვითარცა პირველ!

დიონოსი არქიმანდრიტი

---

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამერიკის შეერთებულ შტატებში ბევრს ადგილას ცოლ-ქმრის გაყრა ისევე ადვილია, როგორც ჯვრის წერა. ამიტომ გაყრა ძლიერ ხშირიც არის. შარშან, მაგალითად, მარტო ერთს შტატში ორი ათას კაცს შეურთავს ცოლი, ხოლო იმავე წელს 641 კაცი გაჰყრია ცოლს. ცოლ-ქმრის გაყრას დიდი დრო და ხანი არ უნდა. საკმარისია სულ 20 დღე. ამ შტატში ამერიკის თითქმის ყველა მხრიდგან მოდიან მხოლოდ იმისათვის, რომ ან ცოლს უნდა ქმარს გაეყაროს, ან კიდევ ქმარსა. ვიდრე გაყრას მოესწრობოდნენ, აქ მშვენივრად ატარებენ დროს. სასტუმროებში დღე და ღამ მხიარულობაა. ერთს სასტუმროს სახელად ეწოდება „სასტუმრო გაყრის მსურველთათვის". მასაჩუზეტსის შტატში სულ 1,800,000 მცხოვრებია, მაგრამ ამათში ერთს წელიწადში 600 კაცი გაჰყრია ცოლს. კონნექტიკუტის შტატში, მაგალითად, ყოველ ათ ჯვარ-დაწერილ კაცზე ერთი უეჭველად ცოლს ეყრება. 1891 წელს ჩიკაგოში ყოველ 8 კაცზე ერთი გაჰყრია ცოლსა. მიზეზი გაყრისა ყოველთვის სულ უბრალოა. საკმარისია—ცოტა ხნობით ან ქმარი განშორდეს ცოლსა, ან ცოლი ქმარს, რომ მსაჯულებმა ცოლ-ქმარი გაჰყარონ. ერთს შტატში კიდევ კანონის ძალით შესაძლებელია გაყრა იმ საბუთის ძალით, „რომელსაც თვით მოსამართლენი შეიწყნარებენ". აბა მიბძანეთ, რაკი კანონი მოსამართლეთ სრულს უფლებას აძლევს, თავს რიღასთვის შეიწუხებენ საქმის გამოძიებით. ხანდახან ისე მომხდარა, რომ ქმარს ან ცოლს გუშინ უთხოვნია მოსამართლეთათვის—გაგვყარეთო და იმათაც დღესვე გაუყრიათ.

შარშან ბასტონში მოსამართლეთ 75 ცოლი გაჰყარეს ქმარს იმ მიზეზით, რომ ქმარი დაჰშორებია ცოლსა. ამბობენ, რომ ბასტონის მახლობელ პატარა ქალაქ ბარანსტებლში სასამართლოს დარბაზი სავსეა ხოლმე ახალგაზდა გათხოვილ ქალებით. ზოგი მათგანი 20 წლისაც არ არის. ყველანი სასამართლოსა სთხოვენ ქმრებს გაგვყარეთო. როგორ ეკიდებიან გაყრის საქმეს ამერიკის ვექილები, შემდეგის მაგალითიდგანა სჩანს. ერთი ვექილი აცხადებს: „ვასრულობ ცოლ-ქმრის გაყრას სულ ერთის თვის განმავლობაში. არავითარი საბუთი გაყრისათვის საჭირო არ არის. რჩევა-დარიგება მუქთად".

რა მნიშვნელობა აქვს ჯვარის წერას ამერიკელებისათვის, მკითხველი შემდეგის მაგალითებიდგან დაინახავს: გასული წლის 6 დეკემბერს ტეხასში ერთმა ქალმა და კაცმა დეპეშით მიჰმართეს მღვდელს სხვა ქალაქში ჯვარი დაგვწერეო, მღვდელმაც დეპეშით შეუთვალა—მიკურთხებიხართ შვილებო, ღმერთმა გაგაბედნიეროთო. ამით გათავდა ჯვარის წერა. ქ. ინდიანოპოლში კიდევ ერთმა არტისტმა ქალმა და არტისტმავე კაცმა სცენაზე დაიწერეს ჯვარი. წარმოდგენის დღეს მათი ქორწინება აფიშაში იყო გამოცხადებული, გამოცხადდა აგრეთვე სახელი იმ მღვდლისა, რომელმაც ჯვარი დასწერა.

ამგვარის ქცევის მიზეზი თვით ცხოვრებაა ამერიკელისა. ამერიკელის ფიქრი ფულის მოგებაა. მამას დრო არა აქვს თვალ-ყური ადევნოს თავისის ქალის გონებისა და ხასიათის განვითარებას. გასათხოვარი ქალი კიდევ სულ იმის ფიქრშია—მდიდარს კაცს მოვეწონოო. მაგრამ არიან ისეთი ქალებიც ამერიკაში, რომლებიც გათხოვებაზედ ნაკლებად ფიქრობენ და თითონ შოულობენ ცხოვრების სალსარს თავისის შრომით. ზოგი რედაქტორია გაზეთისა, ზოგი მწერალი, ვექილი, მასწავლებელი, პროფესორი. ასე გასინჯეთ ზოგიერთს შტატში დედაკაცები მღვდლის თანამდებობასაც-კი ასრულებენ.

---

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(წერილი: მზ)

(დასასრული *)

აქვე ვბეჭდავთ შემდეგ იამბიკოებს, რომელთა სათაური გვაუწყებს ესრე:

საქართველოს მეფის დიმიტრისაგან თქმულნი იამბიკონი. მუკლი თორმეტი.

წმიდის შიო-მღვიმელისა.

ა. შენის დაფნისა. აშიოებს ასურსა:
ისავსებს ქართლი. ნილოსა ნაკადულთაებრ:
ორბობს მოხუცი. მღვინე ფრთეობს სამყაროდ:
იბერწისწულებს. მრავლად უდაბნოს ესე:
სულსა ალთისებს: მტერისა მტვერად დამტევი:.

ბ. ცასა ბეწვითა ეკიდა ვნახე კაცი:
და მასვე კაცსა. შუბის წვერს დაბაზი ედგა:
მუმლსა ზედა ჯდა. მინდორს ქურციკსა სდევდა:
და ზღვასა ზედა. ცხენითა მოარბევდა:
და ესრეთ ღაღადებდა ღ̃თო შენ კურთხეულ ხარ:. **)

სამოციქულო.

გ. ჰრომ კორი კორი. გალატ ეფეს ფილიპე:
კოლას თესალო. თესალონიკ ტიმოთე:
ტიმოთე ტიტე. ფილიმ ებრაელ ათოთხ:
იაკობ პეტრე. ორ და სამ იოანე:
ხოლო იუდა. შვიდ შემდგომად საქმეთა:

ღვთისმშობელისა.

დ. ღ̃თის მშობელი. და ყოვლად პატიოსანი.
დედა ქალწული. შვენიერი შროშანი:
მას ახარებდა. ანგელოზი ფრთოსანი:
შენგან იშვების. მეუფე გვირგვინოსანი:
და მას ჰმონებდენ. მეფენი ჰრავალ ყმოსანი.

ე. შენ ხარ ვენახი ახლად აღყვავებული:
მორჩი კეთილი. ედემში დანერგული:
ალვაჲ სულნელი. სამოთხით გამოსრული:
ღმერთმან შეგამკო. ვერავინ გჯობს ქებული:
და თვით თავით თვისით. მზე ხარ გაბრწყინვებული:.

წმიდის გიორგისა

ვ. (ტექსტში არა სწერია).

წმიდის დიმიტრისა.

ზ. (აგრეთვე).

წმიდის თეოდორესი.

ჱ. ცის შარავანდი. იმზებს ნიშთა თევდორე:

(დანაშთენი აკლია).

თამარ მეფისა.

თ.
ი.
ია.
იბ. } არ არის გადაწერილი, სამწუხაროდ, და მხოლოდ ცარიელი ადგილებია დატოვებული.

სამწუხაროდ არა სჩანს, ამ იამბიკოების მწერალი რომელი დიმიტრია. დიმიტრი I ვერ დასწერდა მათ, რადგან თამარის წინად ჰმეფობდა. არცა სჩანს, რომ დიმიტრი მეორეს თავდადებულს ეწეროს რამე და აგრეთვე დიმიტრი მესამეს, რომელიც ჰმეფობდა 1447—1453 წ. ვფიქრობთ, რომ ამ იამბიკოების ავტორი უნდა იყოს მეფე დავითი, რომელმაც სამონოზნო ჩოხა ჩაიცვა, იწოდა დამიანედ და აღესრულა 1525 წელს.

„წყობილსიტყვაობაში" ვკითხულობთ: „მამისა დიმიტრი მეოთხისთვის, მეფე უოფილისა, მონაზონისა, დავითიან-ბაგრატოვანისა", და შემდეგ

ესე გვიხილავს დახატულ მონოზონად
გარესჯისათა მონასტერ უდაბნოთა;
გამომძქმელ იყო სტიხთა მაღალ შაირთა,
რომელი დღესაცა სჩანან აღწერილად სტიხნი,
კაცი ბრძენ სადმრთო, რიტორ, პიიტიკოსი...
სიბრძნის მოყვარე, ღვთისმეტყველები მარტივ.

აქვე პლ. იოსელიანი შენიშნავს, რომ „ვერა ვცან, რად უწოდებს ამ მეფეს კათალიკოზი ანტონი მეოთხედ, როდესაც იგი არის დიმიტრი I (1125—1154 წ.), მონოზნებაში დამიანედ წოდებულიო". არა სჩანს, რომ გამოზნებულ დიმიტრი I—ლს რქმეოდეს დამიანე და ეს დამიანე, თუ დიმიტრი I—ლია, ვერ დასწერდა სათამარ მეფისა იამბიკოებს. ამიტომ, გვგონია, რომ ანტონი კათალიკოზის „დიმიტრი მეოთხე" (დამიანე) არის სამონოზნო სახელი დავით მეფისა, რომელიც მეოთხე დიმიტრია დიმიტრი I—დგან. გარნა ეს კითხვა ჯეროვნობით გარდაუწყვეტლად მოება.

ტფილელ მიტროპოლიტის კრებული, როგორც ვხედავთ, დიდი განძია საქართველოს მწერლობისა და კარგი იქნება, რომ იგი დაიბეჭდოს სრულად. ტფილელის სიბრძნე თქმულებათაგან ასიოდზე მეტს მივაწვდით „ივერიას" „დამაკვირდი"-ში დასაბეჭდად.

მ. ჯანაშვილი

*) იხილე „ივერია", № 127.

**) ეს იამბიკოები, ჩვენის ფიქრით, თავდაპირველად ასრე უნდა ყოფილიყო გაწყობილი:

ა. შენის დაფნისა ასურსა აშიოებს:
ქართლი ნილოსს ნაკადულთაებრ ისავსებს.
ორბობს მოხუცი, მღვიმე სამყაროდ ფრთეობს:
მრავლად უდაბნოს ესე იბერწისწულებს:
მტვრისა მტვერად დამტევი სულსა ალთისებს:.

ბ. ვნახე კაცი, ცასა ბეწვითა ეკიდა:
მასვე კაცსა შუბის წვერს ბაზი ედგა და:
მუმლსა ზედა ჯდა, მინდორს ქურციკსა სდევდა:
და ზღვასა ზედა ცხენითა მოარბევდა:
და „ღ̃თო, კურთხეულ ხარ",—ესრეთ ღაღადებდა:

---

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

17 ივნისი

**პეტერბურგი.** 16 ივნისს ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული დიდ მთავრინებითა ოლგა ტატიანა ნიკოლოოზის ასულებით წაბძანდნენ ცარსკოე სელოდგან „ალექსანდრიაში საზაფხულოდ.

**პეტერბურგი.** 11 ივნისს ანდიჟანში სამხედრო სასამართლომ გადასწყვიტა სიკვდილით დასჯა 18 მაისს აჯანყების მოთავენი. განაჩენი ასრულებულ იქმნა 12 ივნისს. დამნაშავენი თვით ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ჩამოარჩვეს. დასჯას იქაური მცხოვრებნი დაესწრნენ. შემდეგ საჯაროდ დასწვეს წითელი და მწვანე დროშები, რომლებიც იმანსა ჰქონდა თავ დასხმის დროს. იუწყება რა ამას გენერალი იონოვი, თან დასძენს, რომ აქეთ მშვიდობიანობა არისო.

**პარიჟი.** მომავალმა კაბინეტმა დეკლარაცია შეადგი, რომელსაც რესპუბლიკის ერთობის ხასიათი აქვს. კაბინეტი გადასდებს დრეიფუსის საქმის გარჩევას, გამოსთქვამს, რომ მთავრობამ გადასწყვიტა დაავალოს ერს პატივისცემა ჯარისა და გადაწყვეტილის საქმისა, დააწესებს 1 ივლისიდგან ბაჟს პურზე, შეიწყნარებს დელომბრის სიტყვი რეფორმას გარდასახადის მოკრებისა, უაჰყოფს პროირესიულს ხარჯს გაწერას და შესცვლის ფინანსთა საქმეს თანახმად ფლერი რავარენის შესწორებისა.

**სან-ფრანცისკო.** ოთხი გემი გავიდა დღეს 4,000 კაცით მანილიასაკენ.

**რომი.** იუწყებიან, რომ პელუ იკისრებს პრეზიდენტობასა და შინაგან საქმეთა მინისტრობას, სან-მარცანო—სამხედრო მინისტრობას, ვაკელი—ფინანსთა კარკანო—ხაზინისა, ბაჩელი—საერო განათლებისა, ფორტისი—მიწად-მოქმედებისა, ლაკავა—საზოგადო საქმეთა, ფინსკარიო—იუსტიციისა; ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი ხვალ იქმნება დანიშნული. პალატა უეჭველია შაბათს შეიკრიბება.

**ლონდონი.** „Woning Post"-ს კორესპონდენტი იუწყება, რომ, როგორც შევიტყეთ ერთის წარჩინებულის კაცისაგან, ინგლისთან მოლაპარაკება არის შესახებ იმისა, რომ კამარის ესკადრა არ გამოუშვან სუეცის სრუტეში.

**პარიჟი.** სამინისტრო შესდგა ისე, როგორც უწინ იყო ნაუწყები; გარდა ამისა, სენატორი ტილიე დანიშნულ იქმნა სამუშაოთა მინისტრად, ვალლე—შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგად, მუჟო—ფოსტის მმართველად.

**მადრიდი.** ამტკიცებენ, რომ კამარა დღეს შეუდგება თვისის ესკადრით სუეცის სრუტეზე გასვლას და თან საკმაოდ აქვს ნახშირიო.

მთავრობას არა ჰგონია, რომ ამერიკის ესკადრა ესპანიასთან მივიდეს, მაგრამ მაინც შესაფერი ღონისძიებანი არის მიღებული.

პეტერბურგის ბირჟა, 16 ივნისს

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა | გაკეთე-ბისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| 5%.-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | 216½ | — „ | — „ |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | — „ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 100 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | — „ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | 100⅞ |
| 5% იმავე ბანკისა. | — „ | 102 | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 100¼ | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 286½ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი | 247 | — „ | — „ |


ცნობილ ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-ჰარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა ბ. მ. მირიმანიანისა

музыкальное депо Б. М. МИРИМАНЯНА.

Тифлисъ. Дворцовая ул.

(42—5.—8)


Дозволено цензурою, Тифлисъ 17-го Іюня 1898 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.